| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | აქტიურ სპორტში ჩართული გოგონების წილი სპორტში ჩართულ ახალგარდებში | 7,5 % | 9% | 8% | 11%, სპორტულ სექციებში სპორტსმენთა რაოდენობა წინა წელს იყო 1400(მათ შორის გოგონები105), 2023 წელს 1600 მოსწავლიდან იყო 135 გოგონა. |

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ააიპ "მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 20 სპორტის სახეობის მიმართულებით, 38(33) სპორტულ ობიექტზე,81(70) ჯგუფის და75(64) მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (3 დან - 25 წლამდე)დაახლოებით 1600 ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მიმართულებით: ქართული ჭიდაობა, ძიუდო(საბავშვო ძიუდო), თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ტეკვონდო, კიკბოქსინგი, ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მშვილდოსნობა, მკლავჭიდი, კარატე, ჭადრაკი, ძალისმიერი სამჭიდი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, გოგონათა ფრენბურთი, 2023 წელს სპორტულ სკოლაში დაინერგა სპორტის ახალი სახეობა- გოგონათა ფრენბურთი.<br><br>სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას; სკოლა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის,ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა. სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სპორტული დარბაზის მოვლა შენახვა ,სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თანხების, სიგელების, ჯილდოების, ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა საქმიანობის წარმოება. სპორტული ინვენტრის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა. მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით სპორტსმენების ეროვნული და საერთაშორისო ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. სპორტსმენების ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა. ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა მოწყობის ხარჯები. სარაკბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულალიზაცია და | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სარაგბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სვადასხვა ადმინასტრაციულ ერთეულებში.<br>**მიზანი**-სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება; | | |
| დაგეგემილი შუალედური შედეგი | სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება; | მიღწეული შედეგი | უზრუნველყოფილია სპორტული სკოლის სასპორტო ინფრასტრუქტურის(სარგებლობაში არსებული 4 და დაქირავებული 7 დარბაზის) ფუნქციონირება, სპორტული სკოლის ბაზაზე არსებული სპორტული ჯგუფების სპორტსმენების ვარჯიში და ტურნირებზე მონაწილეობა(2023 წლის განმალობაში განხორციელდა დაახლოებით 1300 სპორტსმენის გაგზავნა 120 შიდა ტურნირზე, ხოლო 15 სპორტსმენის საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში, სპორტსმენების მიერ მოპოვებულია სხვადასხვა კატეგორიიის 277 მედალი, (მწვრთნელთა რაოდენობა გაიზარდა 64-დან 75-მდე) მიღწეულია პიროვნებების ფორმირება სულიერად და ფიზიკურად. გაღრმავდა სპორტული ტრადიციების დაცვა. |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპორტულ სექციებში სპორტსმენთა რაოდენობა(მათ შორის გოგონები) | 1400(105) | 1440(130) | 1600(135) | +11% | სპორული სკოლას დაემატა ახალი ჯგუფები, ახალი მწვრთნელების დასაქმების ხრჯზე |
| 2 | სპორტის სახეობები, რომლებიც ისწავლება | 19 | 21 | 20 | 1 სახეობა | |
| 3 | სპორტული ჯგუფების რაოდენობა | 70 | 72 | 82 | +10 ჯგუფი | სპორტულ სკოლას დაემატა ახალი ჯგუფები, ახალი მწვრთნელების დასაქმების ხრჯზე |
| 4 | საქართველოს ეროვნულ ნაკრები წევრების რაოდენობა(მათ შორის გოგონები) | 21(2) | 23(3) | 18(3) | -5 სპორტსმენი | რამდენიმე სპორტსმენმა შეწყვიტა პროფესიონალური სპორტული ვარჯიში |
| 5 | საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეთა რაოდენობა(მათ შორის გოგონები) | 10(2) | 12(3) | 12(3) | | |
| 6 | სპორტულ ტურნირებში სპორტული სკოლის სპორტსმენების მიერ აღებული მედლების რაოდენობა(მათ შორის გოგონების) | 110(15) | 130(20) | 270(43) | +105% | სპორტული სკოლის მიერ გატარებული პოლიტიკა, ფედერაციების მიერ ჩატარებული ტურნირების გაზრდილი რაოდენობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 01 02 | სპორტული ღონისძიებები | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჯანდაცვის, სოც.უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსხური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება. სპორტის სახეობების დამატება, | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტის განვითარება. | მიღწეული შედეგი | . წლის განმავლობაში შშმ პირებისთვის გაიმართა სხვადასხვა სპორტულ გასართობი შეჯიბრებები, ბოულინგი, მშვილდოსნობა, ჭადრაკი, ეტლით თხილამურობა და სხვა. ეტლით მოთხილამურეებს შორის. (36 შშმ პირმა მიიღო მონაწილეობა)<br>21 მარტი ბაირამობის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მკლავჭიდი, მშვილდოსნობა და ქართული ჭიდაობა (100- მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა)<br>აპრილშ ჩატარდა „ქვემოქართლის ლიგა“ მინი ფეხბურთში სადაც მონაწილეობას ღებულობდა მარნეულის 5 საჯარო სკოლა (აღსანიშნავია რომ ქვემოქართლის ლიგის გამარჯვებული გახდა მარნეულის N6 საჯარო სკოლა).<br>მაისის თვეში დაიწყო სამოყვარულო ფეხბურთი (მუნიციპალური ჩემპიონატი) აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იყო 12 გუნდი. (ტურნირის გამარჯვებული გახდა „წერეთელი“)<br>26 მაისს ჩატარდა მკლავჭიდი, მშვილდოსნობა და ქართული ჭიდაობა (100- მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა)<br>1 ივნის ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცატარდა სპორტულ გასართობი ღონისძიებები,<br>(40- მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა)<br>ივნისის თვეში ჩატარდა გასართობ-სპორტული შეჯიბრებები პეინბოლში. (სულ იღებდა მონაწილეობას 8 გუნდი)<br>22 ივლის კრივის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მარნეულის ჩემპიონატი კრივში.<br><br>ივლისი - აგვისტო ჩატარდა სამოყვარულო ფეხბურთი<br><br>აგვისტოდან დეკემბრის ბოლომდე მიმდინარეობდა სასკოლო სპორტული ოლიმიადის მოსამზადებელი სამუშაოებები და შეჯიბრებები.<br>(აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იყო 34 საჯარო სკოლა, 1300 ბავშვამდე იყო ჩართული)<br>ნოემბერში ჩატარდა მასტერლიგის შეჯიბრებები მინი ფეხბურთში.<br>(50 მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა) |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | სპორტულ ღონისძიებებში ჩართული პირების რაოდენობა | 1246 | 1500 | 1700 | 11,7%, გაზრდილია სპორტულ აქტივობებში ჩართული პირების დაინტერესება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | 05 01 03 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | | |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | | ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | ქვე პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში 6 ახალი კომბინირებული მინი სტადიონის მოწყობა და სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება | | | |
| დაგეგემილი შუალედური შედეგი | | სპორტსმენებისათვის ნორმალური გარემოს შექმნა, სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. | | მიღწეული შედეგი | ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას,სპორტული ტრადიციების დაცვას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას სისტემურ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | განმარტება |
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალი სპორტული ობიექტების რაოდენობა | 39 | 4 | 0 | 2023 წელს დაგეგმილი სამი სპორტული დარბაზის (სოფ.წერეთელი, ალგეთი, სადახლო)მშენებლობა განხორციელდება 2024 წელს |

## 4.2 კულტურის სფეროს  განვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 02 | კულტურის სფეროს  განვითარება | |
| პროგრამის გამახორციელებელი | ჯანდაცვის, სოც.უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსხური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება. | | |
| დაგეგემილი საბოლოო შედეგი | მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და  კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. | **მიღწეული შედეგი** | გაუმჯობესდა ღონისძიებების ხარისხი. მოსახლეობის ჩართულობა საგრძნობლად გაიზარდა. დაგეგმილი ღონისძიებების პროცენტული მაჩვენებელი მზარდია, ანუ ჩატარდა დაგეგმილზე მეტი აქტივობა. გაზრდილია ახალგაზრდების დაინტერესება კულტურის სხვადასხვა დარგების მიმართულებით: მაგალითად სახელოვნებო, სამუსიკო და ქორეოგრაფიულ წრეებში დაგეგმილზე გაცილებით მეტი ახალგაზრდაა ჩართული. მოიმატა ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობამ. რაც მეტყველებს ბიბლიოთეკებში მომსახურების მაღალ დონეზე და იმ გატარებულ ღონისზიებებზე, რომელიც ახალგაზრდებში აღვივებს წიგნების კითხვის  სიყვარულს. |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | განმარტება |

| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | განხორციელებული კულტურული პროგრამებით კმაყოფილი მოსახლეობა | არ არის ცნობილი | 25% | 0 | 0 | ვერ მოხერხდა კვლევის ჩატარება, შესაბამისად შედეგი უცნობია, თუმცა ღონისძიებები მასმედიით შუქდებოდა რეგულარულად და სოციალურ ქსელში აქვს დადებითი გამოხმაურება |

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | ა(ა)იპ "კულტურის ცენტრი" | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებებიდა ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება . მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვოკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების ფიქსაცია პოპულარიზაცია.მოზარდი თაობის დემოკრატიული საზოგადოების ჭეშმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეთიკური განვითარების სრულყოფა. 2020 წლიდან ფუძნდება რაიონში თეატრალური დასი, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობაში მისი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ხელსაყრელი გარემოს შექმნა კულტურული ცხოვრების, მისი ახლებური გააზრების,შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის. საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრის მიმართ და თეატრალური ხელოვნების განვითარების, პოპულარიზაციის ხელშეწყობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა<br>სტრატეგიული მიმართულებების ნიხედვით:<br>1. საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;<br>2. დღესასწაულების აღნიშვნა პოპულარიზაცია.<br>3. თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა.<br>4. ლიტერატურული ხელოვნების განვითარებისა და წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა.<br>5. აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა<br>6. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა<br>7. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;<br>8. ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.<br>9. მუზეუმების პოპულარიზაცია.<br>10. ახალგაზრდული, გასართობი, მასობრივი ღონისძიებების ხელშეწყობა/პოპულარიზაცია.<br>11. არაფორმალური განათლების განვითარების, ბავშვებისა და ახალგაზრდების კულტურაში ჩართულობის ხელშეყწობა.<br>12. კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა განვითარების ხელშეწყობა. საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და | მიღწეული შედეგი | გამრავალფეროვნდა მუნიციპალიტეტის ცხოვრება, გაიზარდა სახელოვნებო დარგების მიმართ ინტერესი, ხელი შეეწყო ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების ზრდა, რაც სამომავლოდ ახალგაზრდებს თავიანთი შემოქმედებითი უნარების კონკრეტულ პირობებში წარმოჩენასა და განვითარებაში დაეხმარება. მეტი ახალგაზრდა ჩაერთო კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში, გაძლიერდა მარნეულის, როგორც მუნიციპალიტეტის უნიკალური კულტურული თვითმყოფადობა.<br>2023 წლის განმავლობაში „კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით თუ თანამონაწილეობით განხორციელდა 90– ზე მეტი კულტურული აქტივობა.<br>მათ შორიის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი როგორიც იყო :<br>• 2023 წლის 10 ივნისს, ქ, სიღნაღში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტისა და მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის, ინიციატივით დაფუძნებულ **სიღნაღის თეატრალურ ფესტივალზე**, კულტურის ცენტრის მიერ დადგმული დრამატული სპექტაკლი **„მარინა რევია“** გამარჯვებული გახდა. დაიმსახურა ფესტივალის I ადგილი და ფულადი ჯილდო 15 000 ლარის ოდენობით.<br>აღნიშნული მიღწევისთვის, კულტურის ცენტრს, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისგან გადაეცა სიგელი და ფულადი ჯილდო 15000 ლარის ოდენობით<br><br>• **მულტიეთნიკური ფესტივალი „შინ 2023“** – ფესტივალი ეთნიკური ტოლერანტობის მკაფიო გზავნილით. „შინ 2023“ გაიმართა 2023 წლის 3 ნოემბერს, ქ. მარნეულის ტერიტორიაზე. თავისუფალ და მწვანე საფესტივალო სივრცეში. ფესტივალის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამი ეთნიკური ჯგუფის ქართული, აზერბაიჯანული და სომხური კულტურული ნიშების წარმოჩენა.<br>ფესტივალი პროგრამა მოიცავს, თემატური დეკორაციებითა და ინსტალაციებით გაფორმებულ საღონისძიებო სივრცეში გამართულ: |

| | | | |
|---|---|---|---|
| | აღდგენა. უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა. | | ➢ სხვადასხვა გამოფენებს<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამებს.<br>➢ თითოეული კულტურის ამსახველ თეტრალიზებულ პერფორმანსებს.<br>➢ ფოლკლორულ სითეზებს.<br>➢ მუსიკალურ კოლაბორაციებს.<br><br>,,შინ 2023" განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. **ფესტივალის მეორე სეზონი ეხმიანებოდა ქალთა უფლლებების თემებს**, რადგან ქვეყანაში ქალთა უფლებები დღემდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.<br><br>ფესტივალი მორგებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მაყურებელზე.<br>ფესტივალის მიზანია, კულტურული დიალოგის გზით, ხელი შეუწყოს ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგებას და ნდობის ხიდების აშენებას.<br>• **საერთაშორისო გასტროლი** – „კულტურის ცენტრი"-თან არსებულმა **ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ენგური"**, ლევან ყურავას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო იტალიაში, ქ. რიმინში გამართულ ფოლკროლის, ცეკვისა და მუსიკის მე-19 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი **"RIMINI FEST 2023".** ანსამბლმა, აღნიშნულ ფესტივალზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და **გრან–პრის** მფლობელი გახდა.<br>• **Embassy of the Netherlands in Georgia** -ს ფინანსური მხარდაჭერით, მარნეულის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, მარნეულის კულტურის ცენტრის მიერ, დაიდგა **თოჯინური სპექტაკლი „აისია"**. სპექტაკლი მოგვითხრობს მრავალეთნიკური და მრავალფეროვანი სოფლის ამბავს, რომლის მცხოვრებლებიც კარგად აცნობიერებენ რომ მშვიდობიანი და ბედნიერი თანაცხოვრებისთვის მთავარი ურთიერთგაგება, ერთმანეთის მიმართ სიყვარული და პატივისცემაა.<br>სპექტაკლმა „აისია"–მ მოიარა მარნეულის მუნიციპალიტეტი. ნაჩვენები იქნა 25 სეანსი 30–ზე მეტი სოფლისთვის. სპექტაკლი ნახა 1800–მდე ბავშვმა და უფროსმა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | • კულტურის ცენტრმა უმასპინძლა არაერთ საერთაშორისო დელეგაციას. გააცნო, წარმოაჩინა, პოპულარიზაცია გაუწია ქართულ და ეთნიკურ უმცირესობათა კულტურას.<br>• ბიბლიოთეკის **წიგნადი ფონდის გამდიდრების მიზნით** კულტურის ცენტრის მიერ შესყიდული იქნა 5570 ლარის ღირებულების 465 წიგნი. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა 42 წიგნი.<br>• 2023 წლის განმავლობაში ქ. მარნეულის საჯარო ბიბლოთეკამ სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად, განახორციელა მასშტაბური **პროექტი „ისტორიანა“,** რომლის ფარგლებში ჩატარდა 6 პრეზენტაცია სხვადასხვა ისტორიული ფაქტებისა და პიროვნებების შესახებ. პროექტი ,,ისტორიანა“ განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლებთან თანამშრომლობით და მათი უშუალო ჩართულობით.<br>• 2023 წლის განმავლობაში ქ. მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკის და სოფლის ბიბლიოთეკების გაცემული წიგნების რაოდენობამ, ჯამში შეადგინა 10140; დარეგისტრირებული მკითხველის რაოდენობამ – 1734; დარბაზით მოსარგებლეთა რაოდენობამ – 782;<br>• 2023 წლის განმავლობაში, მუზეუმების ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა: მ. ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმი 914– ადამიანი; მელიქფაშაევის მუზეუმი – 609 ადამიანი. |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1 | შემოქმედებითი კოლექტივების რაოდენობა | 11 | 11 | 14 | +27,3 % | გაიზარდა სახელოვნებო წრეების რაოდებობა. კერძოდ, გაიხსნა ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ქორეოგრაფიული სტუდია სოფ. ალგეთში და სოფ სადახლოში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | შემოქმედებითი ჯგუფები | 25 | 25 | 31 | +24 % | კულტურის ცენტრის სახელოვნებო მიმართულებებზე მაღალი მოთხოვნის გამო დაემატა შემოქმედებითი ჯგუფები. გაიხსნა ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ქორეოგრაფიული სტუდია სოფ. ალგეთში და სოფ სადახლოში |
| 3 | კულტურის ცენტრის აღსაზრდელების რაოდენობა | 490 | 490 | 805 | +64 % | გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა, რაც განპირობებულია შემოქმედებითი ჯგუფების ეფექური მუშაობით. გაიხსნა ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ქორეოგრაფიული სტუდია სოფ. ალგეთში და სოფ სადახლოში |
| 4 | კულტურული ღონისძიებები | 62 | 62 | 94 | +51 % | გაიზარდა კულტურული ღონისძიებების რაოდენობა, რაც განპირობებულია კულტურის ცენტრის ეფექტური მუშაობით და აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩენილი მეტი მოთხვნით. (ღონისძიებების რაოდენობა, პანდემიის შემდგომ დაუბრუნდა პოზიტიურ დინამიკას) |
| 5 | ბიბლიოთეკებში დარეგისტრირებულ მკითხველების წაღებული წიგნების რაოდენობა | 4133 | 4200 | 10140 | +140 % | გაიზარდა ბიბლიოთეკებში დარეგისტრირებულ მკითხველების წაღებული წიგნების რაოდენობა, რაც განპირობებულია ბიბლიოთეკის ეფექტური მუშოაბით და წიგნადი ფონდის გაზრდა/გამრავალფეროვნებით, სოფლის ბიბლიოთეკების აქტიური ჩრთულობით |
| 6 | კულტურის ცენტრის აღსაზრდელი ბიჭების და გოგოების რაოდენობა | 210 ბიჭიდა 280 გოგო | 210 ბიჭიდა 280 გოგო | 295 ბიჭი<br>510 გოგო | +40 % ბიჭი<br>+82 % გოგო | გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 02 02 | კულტურის სფეროს ღონისძიებები | |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | ჯანდაცვის, სოც.უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსხური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურულ (ნოვრუზ ბაირამი) ღონსძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა). კონცერტებისათვის მომღერლების, სცენისა და განათება-გახმოვანების დაქირავებას, მათი მონტაჟი-დემონტაჟი. თეატრალიზებული წარმოდგენებისთვის ფორმების შეძენა ან დაქირავება. საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით პროდუქტის შეძენა. მარნეულში ტრადიციად დამკვიდრდა სახალხო დღესასწსაულის „მარნეულობა“ ჩატარება. ღონისძიების ფარგლებში ტარდება სხვადასხვა საშემოდგომო რიტუალები. კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმის და საგანმანათლებლო მიმართულების აქტივობები, აგრეთვე ღონისძიებაში აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები, რომლებიც წარმოადგენენ ტრადიციულ კულინარიას, ხელსაქმეს თუ შემორჩენილ ფოლკლორის ნიმუშებს. ოქტომბრის ბოლოს სოფ. წერაქვში ტრადიციულად გაიმართა ღონისზიება „ჯავახიშვილობა“. ღონისძიების ფარგლებში დაქირავებული იქნა რეჟისორისა და მსახიობების მომსახურება. პერფორმანსი აწყობილი იქნა მიხეილ ჯავახიშვილის რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით. ყოველი წლის ბოლოს გრანდიოზულად ინთება საახალწლო ნაძვის ხე. ღონისძიების ფარგლებში ეწყობა სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი აქტიობები. | | |
| დაგეგემილი შუალედური შედეგი | სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონიძიებების ჩატარება;მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა, ახალი ადამიანური რესურსის აღმოჩენა, აგრეთვე თვალსაჩინოებისთვის გადავიწყებული ტრადიციული<br><br>ნივთების მოძიება და საგამოფენო სივრცესი მათი განთავსება. | მიღწეული შედეგი | ღონისძიებების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მოსახლეობის სულ უფრო მეტი რაოდენობა გამოთქვამს მზაობას უშუალოდ ჩაერთოს ღონისძიებების მომზადების პროცესში(მონაწილეობა კულინარიულ მასტერკლასებში, ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა- გაყიდვა) |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |

| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების რაოდენობა | 14 | 14 | 12 | 15% | დაგეგმილი 14 ღონისძიებიდან ვერ განხორციელდა 2 ღონისძიება, სხვადასხვა მიზეზთა გამო( მთავრობის კანცელარიის მიერ ჩატარებული ერთი ძირითადი ღონისძიება 26 მაისი, ხოლო ოჯახის სიწმინდის დღის აღნიშვნა ვერ მოხერხდა), სამაგიეროდ ჩატარდა რამდენიმე დაუგეგმავი ღონისძიება (შემოსული წერილების საფუძველზე მაგ:დმანისობა, თბილისობა, პესტივალი „ერთიანი კავკასია“ ...) |
| 2 | მხოლოდ ქალბატონებისთვის ჩატარებული ღონისძიებები | 2 | 2 | 1 | 50% | ვერ ჩატარდა სარვამარტო ღონისძიება თურქეთის ტრაგედიის გამო |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა |
|---|---|---|
| 05 02 04 | | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | | მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია |
| **ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** | | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ 400,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, კვარტალში 100,0 ათ.ლარის ოდენობით, ხოლო 20,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის. კომუნალური გადასახადების დაფარვა ხდება შემდეგი წესით :1) იმ ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც ქალაქ მარნეულში მდებარეობს-300 ლარამდე 2) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი - 100 ლარამდე 3) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არის შეყვანილი ბუნებრივი აირი - 50 ლარამდე. |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი** | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა |
| **ქვეპროგრამის მიღწეული შედეგი** | დაფინანსდა „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად 450,0 ათ.ლარით, რელიგიური დაწესებულებების კომუნალურმა გადასახადმა შეადგინა-8034,20 ლარი. |

## 4.3 ახალგაზრდობის მხარდაჭერა

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა |
| პროგრამის გამახორციელებელი | ჯანდაცვის, სოც.უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსხური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | გამომდინარე საკითხის მნიშვნელობიდან, ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მუშაობა უნდა მოიცავდეს შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს:<br>ახალგაზრდების  სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობები მინიჭებას , მათი დასაქმების ხელშეწყობას და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.<br>ღონისძიებების განხორციელდება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგემილი საბოლოო შედეგი | ახალგაზრდობის განვითარების მხარდამჭერი და ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნასა და თანაბარ შესაძლებლობებს.კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერადად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე(აპრილი/სექტემბერი) გამოცხადდება ახალგაზრდული იდეების კონკურსი, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და აქტიური ახაგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად;<br>პროექტების თემატიკა: გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა/ჯანსაღი გარემოს შექმნა, მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარება, ინტეგრაციის ხელშეწყობა, კულტურის პოპულარიზაცია, ადგილობრივი თემის განვითარება;<br>პროექტების შერჩევა: პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობას შეაფასებს სპეციალურად შექმნილი კომისია, საპროექტო კრიტერიუმების მიხედვით;<br>წარმატებული სტუდენტების წახალისების მიზნით, წელიწადში ერთჯერადად, ყოველი წლის დასასრულს, წარმატებულ სტუდენტებს გადაეცემათ მერის ჯილდო 1000 ლარის ოდენობით;ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, მოხდება აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 10 სტუდენტის ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა თვეში 50 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად, აკადემიური სასწავლო წლის(10 თვის) განმავლობაში; | მიღწეული შედეგი | 2022 წლის 31 მარტს არჩეულ იქნა მარნეულის მერიის ახალგაზრდული საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში.<br>მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარების წესის“ შესაბამისად 2023 წელს დაფინანსდა 50 სტუდენტი ხოლო მერის ჯილდო გადაეცა 1 სტუდენტს. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებაში | 15% | 15% | 15% | კოვიდ პანდემიის შედეგად შემცირდა აქტიურ ახალგაზრდებთან კონტაქტები ასევე დაბალი აქტივობა იყო ახალგაზრდული საბჭოს მხრიდან და მათ მიმართ პასუხისმგებელი პირების დაინტერესება. |
| 2 | ახალგაზრდული იდეების კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა | 25 | 25 | 8 | 60%, წამოყენებული კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა კოსკურსანტების დიდმა ნაწილმა |
| 3 | ტრანსპორტის ხარჯის დაფინანსებაში ჩართული ბენეფიციარ სტუდენტთა რაოდენობა | 35 | 35 | 50 | 30%, დადგენილი კრიტერიუმები 2023 წელს დააკმაყოფილა უფრო მეტმა ბენეფიციარმა |

## 4.4 ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 04 | ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა |
| პროგრამის გამახორციელებელი | მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; | მიღწეული შედეგი | საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელებულია, გაშუქებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემები, მ.შ საკრებულოს სხდომები. |

## მუხლი 5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

### 5.1 ჯანმრთელობის დაცვა

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.<br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება. | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; | მიღწეული შედეგი | 2023 წელს ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:<br><br>ტუბერკულიოზი ფილტვის BK+27 გამოკვლეულია 73 კონტაქტირებული პირები, მათ შორის ორი საჯარო სკოლის მოსწავლეები.<br><br>ფილტვგარეშე ტუბერკულიოზი - 1 ჩუტყვავილა - 15, ბრუცელოზი -11, შიგელოზი -1, ჯილეხი - 2, ჰეპატიტი ბ -2, ჰეპატიტი ც - (50 დადებითი შემთხვევა რომელიც დადასტურდა ინტეგრირებული სკრინინგის დროს) ინტეგრირებული ც ჰეპატიტის შიდსისადა ტუბერკულოზზე გამოკვლეულ პირთა საერთო რაოდენობაა 3654 შიდსი- სკრინინგით გამოკვლეული 3654 მათ შორის დადებითია -5, ტუბერკულოზზე სკრინინგით გამოკვლეულა 3654 მათ შორის დადებითია -27, სიფილისის საერთო რაოდენობაა -13, მათ შორის ორსულთა სიფილისი -2 ნოზოკომიური ბაქტერემია 12 საავადმყოფოების შიდა იმფექციები-12 , კვებითი ინტოქსიკაცია -1, გონორია -3, სალმონელოზი -3, ბოტულიზმი - 1, ( COVID 19) -დადებითი 2023 წელს 359 , სეზონური გრიპით დააბვადებული ამბულატორიული შემთხვევები არის 1196, სეზონური გრიპით დაავადებულთა მკურნალობა სტაციონარებში 278, ჩატარდა სეზონური გრიპის ვაქცინაცია შესაბამის რისკ ჯგუფებში 700 დოზა ბოტულიზმი -1, ცხოველთა დაკბენების შემთხვევები მკაცრად კონტროლდება როგორც ჩვენი სამსახურის, ასევე ვეტერინარული სამსახურის მიერ ტარდება შესაბამისი ვაქცინაცია ანტირაბიული იმუნოგლობულინით და ანტირაბიული ვაქცინით, რაიონში ფუნქციონირებს ორ კლინიკაში (ავერსი და ჯეოჰოსპიტალსის) ანტირაბიული კაბინეტი რომელიც ყოველთვის არის მომარაგებული ანტირაბიული და შესაბამისი სტრატეგიული მნიშვნელობის ვაქცინებით. გასულ წელს ცოფის ინფექციით გარდაცვალება არ დაფიქსირებულა. ცხოველთა დაკბენის შემთხვევა სულ იყო -1354 და ქვეწარმავლით დაკბენის შემთხვევა -8. არასრული კურსით მკურნალობა ჩაუტარდა 525 პაციენტს და სრული კურსით 829.<br><br>ცხოვრების ჯანსაღი წესის მუნიციპალური პროგრამა: ვახორციელებთ მონიტორინგს, რაიონის საჯარო სკოლებში , საინფორმაციო მასალებით და საუბრებით - ვატარებთ შეხვედრებს მოზარდებში ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის წინააღმდეგ, სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვის მნიშვნელობაზე, კოვიდ ინფექციაზე, პირბადის ტარებაზე, ხელის ჰიგიენაზე.<br><br>თამბაქოს წინააღმდეგ საინფორმაციო მასალების არსებობას ვუწევთ კონტროლს, დაჯარიმებული იქნა რამოდენიმე რესტორანი, სადაც არ იყო სტიკერი და ეწეოდნენ შენობაში თამბაქოს.<br><br>მალარიის გავრცელების წინააღმდეგ მუშაობა მიმდინარეობს როგორც დაავადებისის, ასევე დაავადების გადამტანებზე.<br><br>აპრილში ჩატარდა პასპორტიზაცია იმ დაჭაობებული ადგილების, ტბების, სადაც მრავლდება მალარიის გადამტანი კოღო ანოფელექსი. სოფელ კაპანახჩში - 3 - დაჭაობებული ადგილი, ილმაზლო -6 - |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | დაჭაობებული ადგილი, ქეშალო - 8, აბაროვკა-3, ქესალო I – 1, ქესალო II -2, სულ აღრიცხული იქნა 120 ჰექტარი.<br><br>ამ წყალსაცავებში და დაჭაობებულ ადგილებში მაისის თვის დასაწყისში გაშვებული იქნა - თევზი გამბუზია, (კოღოს ჭუპრებით იკვებება).<br><br>პერიოდულად - აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით ხდება დაჭაობებულ ადგილებში მცირეზომის არხების გაყვანა.<br><br>ჩატარდა მალარიოგენულ ზონებში - საკარდაკარო შემოვლებით სახლების, სარდაფების, ფრინველების და ცხოველების სადგომების დეზინსექცია კოღოს მოსპობის მიზნით.<br><br>მაისსა და ივნისში - 80000 კვ.მ დაიხარჯა 40კგ სადეზინსექციო საშუალება სოლფაკი.<br><br>ივლისსა და აგვისტოში - 80000 კვ.მ დაიხარჯა 40კგ სადეზინსექციო საშუალება სოლფაკი.<br><br>სადეზინფექციო საშუალება ,, სოლფაკი ‘’- მოგვეწოდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და შესაბამისად ვამუშავებთ ზემოდ აღნიშნულ კვ.მეტრებს.<br><br>მალარიის დაავადებაზე - პროფილაქტიკური გამოკვლევისბ მიზნით აღებული იქნა მოქალაქეებზე სისხლის სქელი წვეთი - სულ - 630, მალარიით დაავადებული მოქალაქეები არ არიან. მარნეულის მუნიციპალიტეტში მალარიის დაავადება აღარ არის 2007 წლიდან.<br><br>5 – 10 - წლის ბავშვებში ჩატარდა ლაბორატორიული გამოკვლევები და გაცემულია ჰელიმინთების სამკურნალო და საპროფილაქტიკო მედიკამენტები მებენდაზოლი - 7371 ტაბლეტი.<br><br>ჩატარდა ტრენინგები სილამაზის სალონების მუშაკებთან, მიეწოდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები (ტექნიკური რეგლამენტი) მოხდა სალონების ინვენტარიზაცია და ატვირთული იქნა ელექტრონულ მოდულში . ამავდროულად - მოგვიანებით ჩავატარეთ მონიტორინგი ზედამხედველობის თანამშრომლებთან ერთად, მიეცათ გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად,<br><br>დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ორსულების ლაბორატორიულ გამოკვლევებს ინფექციურ დაავადებებზე: სიფილისი შიდსი, ,,C’’- ჰეპატიტის ,,B’’-ჰეპატიტის დაავადების შემთხვევების დროს ორსულები გადიან მკურნალობას , ახალშობილებს უტარდებათ იმუნოგლობულინით იმუნიზაცია.<br><br>გასულ წელს ჩატარდა სოფლის ექიმების და სოფლის ექთნების მონაწილეობით ინტეგრირებული სკრინინგი C ჰეპატიტის, აივ ინფექციის, ტუბერკულოზის გამოსავლენად.<br><br>გაფორმებულია 51 - კონტრაქტი, გამოკვლეულთა საერთო რაოდენობაა ,,C’’- ჰეპატიტზე -2955, ,,აივ’’-ინფექციაზე-2955, ტუბერკულოოზზე-2955, ,,C’’- ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევებია 24 - ახალი შემთხვევა. ,,აივ’’-ინფექციაზე დადებითი შემთხვევა -1, ტუბერკულოოზზე საეჭვო შემთხვევა - 21. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ინტეგრირებული სკრინინგის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით ცენტრთან შექმნილია 3-ჯგუფი, რომელიც თვეში 1- ახორციელებს ჩატარებულ სკრინინგის მონიტორინგს.<br><br>ჩატარდა 20 სექტემბრიდან ვირუსული ინფექციების (გრიპი) 4 კომპონენტიანი ვაქცინით იმუნიზაცია რისკ ჟგუფებში (მედ პერსონალი, შაქრიანი დიაბეტიანები, დიალიზზე მყოფი, პედაგოგები, შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სახლის წარმომადგენლები, ქრონიკული დაავადებებით მყოფი მოქალაქეები, 65 და 65 წელზე მეტი ასაკის პირები) ვაქცინა გადაცემულია ყველა სოფლის ექიმზე პოლიკლინიკებზე ვაქცინაცია ტარდება უფასოთ. დღევანდელი მდგომარეობით ჩატარდა 850 მოქალაქეზე. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | ანტირაბიული ვაქცინაციის დროს - დაკბენილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევათა ნულოვანი მაჩვენებელი. | 95% | 98% | 100% | 1046 დაკბენის შემთხვევაში 2023 წელს ჰიდროფობიის შემთხვევები არ დაფიქსირებულა |
| 2 | სისხლის სქელი წვეთის კვლევა | 180 | 198 | 630 | (საეჭვო შემთხვევების განმეორებით კვლევა) |
| 3 | შემოწმების რაოდენობა | 100 | 110 | 110 | შემოწმებების ამ მაჩვენებელში არ იგულისხმება ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ განხორციელებული ინტეგრირებული სკრინინგი „C“ ჰეპატიტი, შიდსი და ტუბერკულოზი რაოდენობა. |

## 5.2 სოციალური დახმარება

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 06 02 | სოციალური პროგრამები |
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ფენების მოსახლეობის დახმარება მედიკამენტებით, ოპერაციის და მკურნალობის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" და საკრებულოს სხვა დასხვა განკარგულებების საფუძველზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგემილი შუალედური შედეგი | სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა | მიღწეული შედეგი | 2023 წლის ჯანდაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით განცხადებით მოგვმართა 7422-ზე მეტმა ბენეფიციარმა, მათ შორის რეკომენდაცია გაეწია 736 შშმ პირის განცხადებას, პროგრამით სარგებლობაზე კრიტერიუმების ან დოკუმენტების ვერ დაკმაყოფილების მიზნით უარი ეთქვა 1782 ბენეფიციარს. სარეზერვო ფონდით დაფინანსებაზე გადაცემული იქნა 235 განცხადება. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა რომელთაც გაეწიათ დახმარება | 5997 | მომართვიანობის მიხედვით, არა ნაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | 5 921 | 1 % |

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის გამახორციელებელი | ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო (ოპერაციული , მედიკამენტებით და სხვა) დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე. | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა | მიღწეული შედეგი | 1. 2023 წელს განცხადებით მოგვმართა 5993 ბენეფიციარმა.<br>2. ჯანდაცვის მიმართულებით, მომართვიანობის შედეგად რეკომენდაცია გაეწია 4224 ბენეფიციარის განცხადებას.<br>3. პროგრამით უარი ეთქვა 731 ბენეფიციარის განცხადებას.<br>4. სარეზერვოს გადაეცა 18 ბენეფიციარის განცხადება.<br>5. ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი საბჭოს 2023 წლის დახარჯული თანხა 1479 ბენეფიციარზე შეადგენს- 791102 ლარს. |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა რომელთაც გაეწიათ დახმარება | 1711 | მომართვიანობის მიხედვით, არა ნაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | 1697 | 1% |

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 06 02 02 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა |
| პროგრამის გამახორციელებელი | ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | გათვალისწინებულია მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარება, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე. | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | სოციალურად დაუცველ და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოქალაქეების დახმარება სხვადასხვა ყოფითი პრობლემის მოგვარებაში | მიღწეული შედეგი | 1.2023 წელს სოციალური მიმართულებით განცხადებით მოგვმართა - 1429 ბენეფიციარმა .<br>2. ყოველთვიური პროგრამაში სარგებლობს - 290 ბენეფიციარი ( სმენის არ მქონე პირები,დიალიზზე მყოფი პირები და ომში დაღუპული მეომრის ოჯახები) რომელზეც გაიცა 357080 ლარი.<br>2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია - 776 ბენეფიციარს, არასრულყოფილი დოკუმენტების გამო უარი ეთქვს - 495 ბენეფიციარის განცხადებას.<br>3. ფინანსური მიმართულებით სარეზერვოს გადაეცა 217 ბენეფიციარის განცხადება. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა რომელთაც გაეწიათ დახმარება | 4286 | მომართვიანობის მიხედვით, არა ნაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | 4224 | 1% |

## მუხლი 6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

### 6.1 მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 010203 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა |
| პროგრამის გამახორციელებელი | მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანო -საბიუჯეტო სამსახური | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება | მიღწეული შედეგი | 2023 წლის პირველი იანვრისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 219,353 ლარს, 31 დეკემბრისათვის ვალი შემცირდა 62,674 ლარის ოდენობით, სრულად ვალის დაფარვა განხორციელდება 2026 წელს. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | |
|---|---|---|---|---|---|
| № | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1 | სასესხო ვალდებულების დაფარვის პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო | - | - | - | სასესხო ვალდებულების დაფარვის პირობების დარღვევის გამო არ დაკისრებულა პირგასამტეხლო |
| 2 | წლის განმავლობაში დაფარული სასესხო ვალდებულების ოდენობა | 92.7 | 81,3 | 85,6 | სასესხო ვალდებულება დაფარულია სრულად, სხვაობა გამოიწვია პროცენტის ზრდამ რეფინსირების განაკვეთის მიხედვით |